ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2798405

ნომერი: AR1434404

თარიღი : 23.08.2016

გაცემის თარიღი : 30.08.2016

გაცნობის თარიღი : 01.09.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აგლაძე , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიგა ჯავახაძე პ/ნ 12001035932
- თბილისი ი.გაგარინის ქ. N 1

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი

განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზეც გაცნობებთ შემდეგს:დღეისათვის მოქმედი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით გათვალისწინებულია ტერიტორიების ძირითადი და სპეციალური ზონალური შეთანხმებით დასაშვები გამოყენების სახეობები. ამავე წესების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყველა ქვეზონისათვის, გარდა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონისა, სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებით დასაშვებ სახეობას წარმოადგენს ზონის ან/და ამ ზონაში დასაშვები შენობა-ნაგებობის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხაზობრივი ნაგებობები ან/და დამხმარე ან/და დროებითი შენობა-ნაგებობები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ღობის/დამხმარე ნაგებობის მოწყობა საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას. ამავე წესების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, ნებართვის მაძიებელმა სპეციალურ ზონალურ შეთანხმებაზე შესაბამისი, დასაბუთებული მოთხოვნა უნდა დააფიქსიროს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მიღებაზე განცხადებაში ან საჭიროების შემთხვევაში, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ განცხადებაში. ვინაიდან, პირველი კლასის მშენებლობაზე სამსახურის მიერ გაიცემა არა მშენებლობის ნებართვა, არამედ წერილობითი დასტური და წერილობითი დასტურის გაცემის ფარგლებში არ ხდება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა ან არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, ამ ეტაპზე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას წინამდებარე განაცხადის ფარგლებში იმსჯელოს პირველი კლასის, სპეციალური ზონალური შეთანხმების მიღების საჭიროების მქონე ღობის / ნაგებობის განთავსების(მათ შორის მოიაზრება რეკონსტრუქციაც) თაობაზე ან გადააგზავნოს საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოზე განსახილველად.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ამ ეტაპზე შესაძლებელია მხოლოდ განახორციელოთ ღობის ფასადის ფერის ცვლილება და სარეკლამო აბრის მოწყობა , რისთვისაც ახალი განცხადებით უნდა მომართოთ სამსახურს ახალი მოთხოვნით და ნომენკლატურაში აირჩიოთ შემდეგი ნომენკლატურები :
I კლასი - "მცირე არქიტექტურული ობიექტები- "შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები" როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება-რეკონსტრუქცია" და I კლასი-" აბრებისა და რეკლამების განთავსება- ახალი მშენებლობა ;
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი , ხოლო დაზუსტებული ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში) დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.